

ნინელი ჭოხონელიძე

ზმნურ ფორმათა რელატიური სინონიმური პარალელიზმი რ. ინანიშვილის ენის მიხედვით

რ. ინანიშვილის მხატვრული ენის ერთ-ერთი სტილისტიკური ხერხია სინონიმების ხშირი გამოყენება. სინონიმები შეიძლება შევადაროთ ფერებს, რომლებითაც სარგებლობს ფერწერაში ხელოვანი თავისი ნაწარმოების სრულქმნისათვის [ნეიმანი 1951: XX].

ამჯერად ჩვენ შევეცდებით ვუჩვენოთ, სტილისტიკურ-ექსპრესიული მიზნით გამოყენებული ზმნური რელატიური სინონიმური პარალელიზმების შემთხვევები, რომლებიც მწერლის ენის ერთ-ერთ საინტერესო უბანს წარმოადგენს, რადგან „სინონიმების პარალელურად ხმარება გაგებულია, როგორც აზრის გამამდიერებელი საშუალება, მაქსიმალური ლიტერატურული ეფექტის ერთ-ერთი მეთოდი პოეტურ ენაში“ [ძიძიგური 1965: 223].

საინტერესოა, რომ მწერალი ზმნურ რელატიურ სინონიმებს ერთნაირი მნიშვნელობის ზმნისწინებით ხმარობს. მსგავსი ბგერების ამგვარი გამეორება რიტმსაც ქმნის და სხვა მნიშვნელობაც შემოაქვს. სინონიმური ზმნური ფორმებიც, როგორც ერთგვარი შემასმენლები, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ერთი და იმავე პირის და ერთნაირი დროისა და მწკრივის ფორმებით; სინონიმური წყვილები, როგორც ერთგვარი წევრები, შეიძლება შეგვხვდეს წინადადების თავში, შუაში ან ბოლოში. პარალელურად გამოყენებული სინონიმები უკავშიროდაც გვხვდება და კავშირითაც.

რა თქმა უნდა, თავის მხატვრულ ენაში რ. ინანიშვილს გამოყენებული აქვს სამწერლო ენაში უკვე ცნობილი სინონიმები:

ცულს... **გალესავდნენ**, **გაფხავებდნენ** (ჩიტ. 299, ქვ 6). სახლებიც კი **თახთახებდნენ** და **დგანდგარებდნენ** (ალერს. 25, 26). უფრო მეტად **გეწურება** და **გებურება** გული (იქვე); **ელაბუცება**, **ეპალება** (გოლ. 265, 9). **დაუწითლდა**, **დაუჭარხლდა** ხელები (ასულ. 133, 14). ჩვენს საკადებელთან ვიპოვნეთ, თოვლქვეშ **დატყუბდა**, **დააბრტყელებდა** ხელისგულებზე, გამწვრივებდა ვიწროდ გაკეცილ თავსახვევზე (ასულ. 100, 5). ისინი **ქირდავდნენ** და **აშუნათებდნენ** (გოლ. 40, 8). დოლი **ჭექდა** და

დვრინავდა (შორ. 73, 15). **დაიმტვრა**, **დაილენა** აქაურობა, დასაწყვეტებო! (ასულ. 150, ქვ. 1). კოლმეურნე ქალები **მიიბრძვიან**, **მიისწრაფვიან** შინისკენ (გოლ. 162, 24). (ღმერთმა) ეს სეტყვა მოუვლინა და **დარეგვა**, **დალენა** ყველაფერი (გოლ. 43, 15).

ცნობილია, რომ ენაში სინონიმები მომდინარეობს სხვადასხვა წყაროდან. რ. ინანიშვილის შემოქმედებაში დადასტურებული სინონიმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ხალხური ცოცხალი მეტყველება. შესაბამისად, სინონიმური წყვილის ერთ-ერთი წევრი სალიტერატურო ქართულიდან ნაცნობია, მეორე კი – დიალექტიზმი, ან მწერლის სიტყვაქმნადობის შედეგად მიღებული.

აემუშება: წითლად აეტკრიცა, **აემუშა** ს-ს სახე (გოლ. 139, 24).

ჩაილუშება: სახლი ჩაყუჩდება, **ჩაილუშება** (ასულ. 175, 8).

გაიბეზღვება: მოვიდოდა თოვლი და კიდევ ერთხელ **გაიბეზღვებოდა** და გადიდკაცდებოდა იოსება (კეთ. 8, ქვ. 13).

მიკიბ-მოკიბავს: ნიკალამ რაღაცა **მიკიბ-მოკიბა**, რაღაც „აურია“ (მეგობ. 100, 5).

დაღვრეკს: წუხელ ორივენი ვაბანავე, **დაღვრიკე** (ალერს. 133, 20).

დამორევდება: დატბორდა, **დამორევდა** დაბლობები (ალერს. 25, ქვ. 8).

მოწვალდება: სახლში მოვიდა, **მოწვალდა** ნუცა (ასულ. 194, 16).

მოალერსობს: მობარბაცებენ და **მოალერსობენ** (სად. 108, 7).

ელაზბუცება: **ელაზბუცება**, ეძალება (გოლ. 265, 9).

გაჩქარდება: **გაგჩქარდი**, გავხალისდი (ალერს. 81, ქვ. 4).

აიზმორება: **აიზმორა**, აიჭიმა (გოლ. 375, ქვ.3).

აბყირებს: პატარა ძმას ახველებდა, **აბყირებდა** (გოლ. 47, 4).

მიბრაგანაობს: მივარღვევ, **მივბრაგანაობ** (ჯაფ. 137, 36).

დაასაცოდავებს: ყინულის პაპამ... აქა-იქ შერჩენილი ფოთლები დაკრუნჩხა, **დაასაცოდავა** (შორ. 163, 12).

ჩაამყუდროებს: მზე...ჩაათბობს, **ჩაამყუდროებს** აივანს (შორ. 47, 25).

ჩადაბლდება: კალთები მუხლებზე ჩამოიწია, **ჩადაბლდა**, ჩამყუდროვდება (გოლ. 327, 12).

მწერალი სინონიმური წყვილის შესაქმნელად მიმართავს ნაცნობი სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებასაც:

ჩადნენ, **ჩაილივნენ** შრომაში (ალერს. 246, 20).

კიდევ უფრო უარესად **გახმება** და გამვალტყავდება (ტ. I 58, ქვ. 4).

(თეთრი ნისლეები) გაავსებენ, **გათიმითიმებენ** ხეობებს (ჯაფ. 363, 3).

მისი ერთ დროს ლამაზი სახლი ჩაბნელებულა და **ჩაქუფრულა** (ჯაფ. 158, ქვ. 3).

ნეტარებდნენ, **ფრონავდნენ** კაცები (ალერს. 101, ქვ. 10).

იქნებოდი ახლა **გაფუებული** და გაფუფუნებული (გოლ. 348, 7).

მწერლის განსაკუთრებულ ხელწერას ქმნის დიალექტში წყევლისა და დალოცვის ფორმულებში შემონახული სინონიმური ფორმები:

არ **ჩაილოკე** და **ჩაიხვეწე** საცოდავად (ასულ. 175, 6).

რისთვის **ვიწვალე** და **ვიშავდღევე** (ალერს. 235, ქვ. 5).

თავთუხა თავისთვის ლაპარაკობდა **ჩაქრით**, **ჩაიქოლეთ** (კეთ. 62, 23).

ამოწყდნენ და **ამოიხუნენ** – დასწყევლა ვიღაცანი (ალერს. 165, 17).

გამლაშდეს და **გამწარდეს** ეგა, ავი გამწარდა კიდეც (სალ. 27, 25).

არაა **დავენაცვლე** და **დაგეფერფლე** მე ამას (ალერს. 85, 20).

შეგაბეროთ და **შეგატკბოთ** ერთმანეთს (გოლ. 10, 31).

გაიხარე და **გამრავლდი**, კარგად გატარა ღმერთმა (ჩიტ. 293, 17).

უფრო მეტად **გეწურება** და **გეხურება** გული (ალერს. 284, 21).

სინონიმური წყვილის შესაქმნელად მწერალი ასევე იყენებს იდიომებს და მყარ სინტაგმურ შეხამებებს:

ახლა მისთვის დიდი შვება იქნებოდა, თუ დედა სცემდა, **ხორცებს დააჩქლეთავდა** (შორ. 31, 9).

ბუ **მხრებს აწვალებს**, იშმუშნება (ცისფ. 67, 15).

ხორცებს იჩქლეთდა და იმდულრებოდა ბებია (გოლ. 46, 23).

ცეცხლი ჯერ ბოლავდა, **სულს დაფავდა** (შორ. 225, ქვ. 1).

გაგიჟდი? გადაირიე? **ბათქაში ჩამოგცივდა?** (გოლ. 31, 20).

კაკალს **გული ჩაულპა**, ჩაუფუტოროვდა (ალერს. 71, 26).

ამომიჯდება გული, ავტირდები (ტ. I, 16, ქვ. 8).

მიწამ ჩაიტანა, **კალომ ჩაფშენიტა** ჩემი სილამაზე (ალერს. 225, 8).

ბელები... ყელყელაობდნენ, **ცხვირს მალლა სწევდნენ** (შორ. 248, 14).

სისხლს ზედ შევასხამ და **შევაკვდები** (ალერს. 104, ქვ. 1).

ბავშვურად ქვას ფეხი წამოჰკრა, წაბარგანდა (გოლ. 322, 33).

ნინომ კი მუხლები ჩაღუნა, ჩადაბლდა (ჯაფ. 285, 11).

ღვედები გადაუჭირეს, დაქანჩეს (ჯაფ. 348, 9).

ყურები უკან გაეგებათ, აიკუზნენ, **ბალანი აუშვეს** (შორ. 174, ქვ. 2).

მწერალი სამწერლო ენიდან ნაცნობი სხვადასხვა მნიშვნელობის ხმაურობისა და მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნურ ფორმებს ერთნაირი ზმნისწინების დართვით სხვა დატვირთვას სძენს და ახალ სინონიმურ წყვილებს ქმნის.

ხმიანობა:

მოდგაფდგაფებდა, მოჩქაფჩქაფებდა წყალი (გოლ. 235, ქვ. 5).

ხეებზე ყვავები აფათქუნდნენ, აჩხავლდნენ (გოლ. 279, 9).

რალაცა აფაჩუნდა, რალაცა აბლარჯუნდა (ალერს. 258, ქვ. 1).

მწერალი მოძრაობას ასევე გამოხატავს სხვადასხვა სინონიმური ფორმებით:

მიდის, მიხუსხუსებს (მეგობ. 23, 15).

მივდიოდი, მივიბჯენდი ჯოხს (ჩიტ. 296, 15).

მოდის, თავისებურად **მოზლაცუნებს** ხნიერი კაცივით (სად. 112, 4).

დადის... დახანალებს (ასულ. 18, 9).

ყვითელნისკარტა შაშვიც წავა, წასკუპსკუპდება თავაწეული (გოლ. 354, 5).

წამოვიდა და წამოილალა შინ (გოლ. 85, 13).

საინტერესოა, რომ მოძრაობისა და ხმაურობის აღმნიშვნელ სიტყვებს მწერალი ხშირად ერთად ხმარობს, ერთნაირი მნიშვნელობის ზმნისწინების დახმარებით ერთმანეთს უხამებს და მათგან ახალი სინონიმური წყვილების შექმნას ახერხებს. როგორც ე. კოშორიძე შენიშნავს, აქ ზმნისწინები მოქმედებასა თუ მოძრაობაზე მიუთითებს მაშინაც, როდესაც თვით ამ ზმნათა ფუძეები ლექსიკურად მოძრაობას, გადაადგილებას არ გამოხატავს [კოშორიძე 2005: 260].

გახარებულები იყვნენ, თითქოს ქორბუდა ირემი მოუკლავთო, **მოდოდნენ და მოყაყანებდნენ** (შორ. 12, 22).

წავიდნენ, წახორხოცდნენ (შველ. 83, ქვ. 3).

მივდივარ და მივაჩქაფუნებ თეძოსთავამდე შემოწვდენილ
ორს (ჯაფ. 136, 13).

გოგოები **წავიდნენ, წაქღურტულდნენ** (გოლ. 558, 21).

მოვიდა, მოფაჩუნდა ფეფეკო (ასულ. 194, 25).

წყალი **მოდიოდა და მოზიმზიმებდა** (ჯაფ. 313, ქვ.1).

თოფი ილლიაში ამოვიდე და **წავედი, წავხმურდი** (ალერს. 52, 3).

ძაღლები **მორბიან, მოაჩხარუნებენ** ყელზე შემოვლებულ ჩან-
გლებს (კეთ. 335, 2).

ეთერი... **მიიფეხვება, მიაფახფახებს** ჩანთას (შორ. 71, 1).

მივდივარ და მივაჩქაფუნებ თეძოსთავამდე შემოწვდენილ
ორს (ჯაფ. 136, 13).

კაცი **მოდის, მოაძაგუნებს** მუხლებს (ალერს. 32, 17).

იშვიათად მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნასთან, იმავე ზმნისწი-
ნის საშუალებით, სინონიმური წყვილი შეიძლება შექმნას სხვადას-
ხვა მნიშვნელობის ზმნებმაც, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ძირითა-
დად წყვილს ქმნის მოძრაობისა და ხმიანობის აღმნიშვნელი სიტყვე-
ბი.

მიდის და მიაბოლებს (ალერს. 504, ქვ.).

მათგან მოშორებით კი... **მიიტუზებოდა, მიიპარებოდა** (შორ.
12, 1).

ჩავედი, ჩავიდაბლე (ალერს. 189, 11).

ყვავები **ჩაიხარნენ, ჩადაბლდნენ** (გოლ. 313, 22).

გვხვდება სამწევრა სინონიმურფორმიანი წინადადებები:

კლდეზე **დაეშვა, დაცურდა, დახრიალდა** (გოლ. 44, 17).

ასეთი ხმა აქვს, თითქოს მდინარე ადიდებულოყოს, **მოთქრია-
ლებს, მომურმურებს, მოდგანდგარებს** (შორ. 104, 3).

კურდღელს ერთი ხვადი მელა **მოსდევს, მორბის, მოხუხუნებს**
(შორ. 103, 21).

ყვავები **დაჰვრენენ, დაჰყრანტალებენ, დაჰკაპასობენ** თავზე
(ასულ. 157, ქვ. 5).

შევიდა საქონელი ვენახში, **ჩაღეწა ფუჩეჩი, ჩაზეკა, ჩაანადგუ-
რა** (ალერს. 235, 21).

დაიკეკა, ჩამოიხა და ჩამოიქცა ცა (ჩიტ. 80, 15).

მოიცათ, ყველანი ერთად ნუ ჩამძახით, – ქვეყანა **წაწმდა, დამყაყდა, ინგრევა**, თავს ვუშველოთ! (გოლ. 135, 13).

მწერლის ენაში დადასტურებული სინონიმური წყვილის ზოგი ცალი ფონეტიკურად სახეცვლილია:

აძრება < აზრება: აძრება, ებუხება ფეხები (გოლ. 224, 9).

მიიყუნჭება < მიიკუნჭება: თივა კუთხისკენ მივწიე, იქ მივწექი, **მივიყუნჭე** (გოლ. 97, 12).

რ. ინანიშვილის ენაში დადასტურებული სინონიმები – იმის გარდა, რომ მწერლის შემოქმედებას განუმეორებელ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ხიზლს სძენს, ამასთან ერთად ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს ქართულ ლექსიკურ სინონიმიკას. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ რ. ინანიშვილის მიერ შექმნილი თუ ხალხურ მეტყველებაში მოძიებული ზოგი სინონიმური ცალი ქეგლშიცაა ასახული. მაგ.: **გადაბენტერავდება, დაეხუნძლება, გაიბორჯღლქება**.

გასულელდა და **გადაბენტერავდა** მთლიანად (გოლ. 56, 19).

დასხდებიან, **დაეხუნძლებიან** ვერხვებს (ასულ. 157, 8).

გაიჭიმება, **გაიბორჯდება** ზამთარი (ჯაფ. 355, 3)...

ლიტერატურა

კოშორიძე 2005 – ე. კოშორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები თბილისი.

ნეიმანი 1951 – ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

სილაგაძე 1981 – ჯ. სილაგაძე, ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის საკითხები, თბილისი.

ძიძიგური 1963 – შ. ძიძიგური, ენა და ლიტერატურა, თბილისი.

წყაროები (შემოკლებანი)

- ალერს.** – ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986.
ასულ. – მთვარის ასული, თბ., 1987.
გოლ. – პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბ., 1989.
კეთ. – კეთილი მიწა, თბ., 1984.
მეგობ. – მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, თბ., 1958.
სად. – სადამო ხანის ჩანაწერები, თბ., 1973.
ტ. I – ტ. I, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, თბ., 1953-1968.
შორ. – შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976.
ჩიტ. – ჩიტების გამომზამთრებელი, თბ., 1978.
ცისფ. – ცისფერი გორგალი, თბ., 1968.
ჯაფ. – ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, თბ., 1974.

Nineli Chokhonelidze

The Relational Synonymous Parallelism of the Verbal Forms (Based on R. Inanishvilis's Language)

Summary

R. Inanishvili used the verbal relational synonyms with the preverbs of the same meaning. The repetition of the similar sounds creates the rhythm and produces another meaning. The synonymous verbal forms are represented by the forms of the same person, the tense and the screeve. The synonymous pairs can be found at the beginning, in the middle or at the end of a sentence. The synonyms used parallelly occur with or without connectors.

One of the important sources for the synonyms of R. Inanishvilis's language is the live folk speech. Accordingly, one of the members of the synonymous pair is familiar from literary Georgian while the second one is a dialectism or was coined by the author. Of course R. Inanishvili also

used the common synonyms of the literary language. The writer added the preverbs of the same meaning to the different verbal forms denoting movement and making noise and in this way he produced new synonymous pairs.

The synonyms attested in R. Inanishvilis's language not only bring unique coloring to the author's language but also enrich the Georgian vocabulary. A good example for this is that some synonyms coined or found in the folk speech by R. Inanishvili are included in the Explanatory Dictionary of the Georgian Language.